ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3889207

ნომერი: AR1575973

თარიღი : 07.02.2018

გაცემის თარიღი : 28.03.2018

გაცნობის თარიღი : 28.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6 ; ; ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6 ; ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი , შესახვევი I , N 6 ; ; ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , N 6 ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- არჩილ დალაქიშვილი პ/ნ 01024073326
- თბილისი

ორგანიზაცია:
- შპს სმართ ვეარჰაუს კოდი: 405131085

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

მოქ. არჩილ დალაქიშვილმა (თანაგამცხადებელი: თამაზ ფიროსმანაშვილი და ნოდარ შაიშმელაშვილი) 7.02.2018 წ. #AR1575973 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 31.08.2012 წ. #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 31.08.2012 წ. #331989 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, დავით აღმაშენებელის ხეივანი N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.72.14.032.543, ფართობი 54472 კვ.მ.) ავტოსერვისის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. არქიტექტურის სამსახურის 04.06.2013 წ. #720986, 08.09.2015 წ. #2176190 და 19.07.2016 წ. #2722287 08.12.2016წ. №2988941 ბრძანებებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 31.08.2012 წ. #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, ახალი საპროექტო ობიექტის ფუნქციის დაფიქსირებასა და ს/კ N01.72.14.065.022 ამორიცხვასთან დაკავშირებით, კერძოდ: "ავტოსერვისი, საოფისე შენობა და სასაწყობე შენობა–ნაგებობა"-ის ნაცვლად "ავტოსერვისი, საოფისე შენობა და 2 (ორი) სასაწყობე შენობა–ნაგებობა" და ვინაიდან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შემავალი 01.72.14.032.599, 01.72.14.032.855, 01.72.14.032.826, 01.72.14.032.854 და 01.72.14.032.825 საკადასტრო ერთეულებიდან ორმა ნაკვეთმა შეიცვალა საკადასტრო კოდი, კონფიგურაცია და ფართობი, კერძოდ: 01.72.14.032.855 და 01.72.14.032.854 საკადასტრო ერთეულების ნაცვლად გაჩნდა 01.72.14.032.930 და 01.72.14.065.022 საკადასტრო ერთეულები. ხოლო 01.72.14.065.022 საკადასტრო ერთეული გახდა სახელმწიფო საკუთრება , შესაბამისად უნდა ამოირიცხოს ს/კ 01.72.14.065.022.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნულ ტერიტორიაზე ვრცელდება იგივე ფუნქციური ზონა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 31.08.2012 წ. #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.08.2012 წ. #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ავტოსერვისი, საოფისე შენობა და 2 (ორი) სასაწყობე შენობა–ნაგებობა" და დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო მონაცემები:
საკადასტრო კოდი: N01.72.14.032.930 განცხადების ნომერი: 882017604544 მომზადების თარიღი: 24/07/2017 ფართობი: 4292 კვ.მ
საკადასტრო კოდი: N01.72.14.032.825 განცხადების ნომერი: 8820166692840მომზადების თარიღი: 03/10/2016 ფართობი: 16509 კვ.მ
საკადასტრო კოდი: N01.72.14.032.854 განცხადების ნომერი: 882017687953 მომზადების თარიღი: 04/08/2017 ფართობი: 3002 კვ.მ
საკადასტრო კოდი: N01.72.14.032.599 რეგისტრაცის ნომერი 882014097083 მომზადების თარიღი 27.02.14 ფართობი 16469 კვ.მ
საკადასტრო კოდები დაფიქსირდეს: N01.72.14.032.930, N01.72.14.032.825,N01.72.14.032.854, N01.72.14.032.599 ფართობი: 4292 კვ.მ ფართობი: 16509 კვ.მ ფართობი: 3002 კვ.მ ფართობი 16469 კვ.მ
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 31.08.2012 წ. #331989 გადაწყვეტილებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან დაარქიტექტურის სამსახურის 04.06.2013 წ. #720986, 08.09.2015 წ. #2176190 და 19.07.2016 წ. #2722287 08.12.2016წ. №2988941 ბრძანებებთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.